


წელიწადი  
პირველი



11 აბსონტ.  
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწმობა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სახლების წემოდ. №11 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაზეთით და გაზეთით და... 6 მან. — თითო ნომერი..... — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოცემის წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	---

საძიებელი: I. საქართველოს მატრიანე.— II  
ომის ამბები.—III. საზოლიტიკო მიმოხილვა.—IV  
მგზავრის წერილები სვანეთზე (შემდეგი).—V.  
ბრძოლა რომის დასაპყრობლად (შემდეგი)—VII.  
გაზეთებიდან ამოკრეფილი ამბები.

„ივერიის“ კორრესპონდენციები.

**სურამი.** დიდი მოძრაობა ახლა ჩვენ სურამში. ისე  
ირევა ხალხი, ისე ძლეულვარებს, რომ ძალი მატრონს  
ვერ უოულობს. რა ჯურის და ჯინძის ადამიანს არ  
ნახავთ აქ?

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“  
პირველის მარიამობისთვის დამ პირველს მომავალს  
იანვრამდე. ფასი ამ ხუთის თვისა სამი მანეთია.

სადა გაივლი, ეოველ ფეხის წადგმაზე  
დაგვხვდებიან: სამხედრო ჰექიმები, წითელ ჯვრიანი  
ქალები, მოსულნი მოსკოვიდან დაჭრილების  
მოსავლელათ, ბლუზიანი იქაურივე ახალგაზდა და  
სხვა ხნის კაცები, სასაფხულოდ მოსულები და ფერ-  
წასულნი შიმშილისაგან, ფეხთ შიშველი, გოდრებ  
აკიდებული ბერძნის ქალები და სხვა არ ვიცი ვინა...

საქართველოს მატრიანე

— აგვისტოს პირველს დღეებში ქალაქში მოვიდა  
რუსეთიდან ღენერალი ჩერნიავი, რომელიც  
შარშან სერბიაში მთავარ სარდლად იყო სერბიის  
მხედრობისა. ქალაქში ამას სადილი გაუკეთეს. 6-ს  
აგვისტოს-ღენერალი ჩერნიავი კურუკდარას წავიდა.

აქ რომ კეთდებოდა ფიცრულები დაჭრილებისათვის  
დიდი ხანია მხათ არის და შიგ კიდევ იკურნების  
ბრძოლის ველზე დაჭრილები. აქ სურამში ორი რიგი  
საავათმეოფეები არის. ერთი გამართული მოსკოვის  
ანაურების ხარჯითა, მეორე სამთავრო ხარჯით.  
შენობები აქვთ ფიცრებისა. შინაგანი განწყობილება  
და ავათმეოფების მოვლა პირველისა ჩინებულია.  
ავათმეოფეები ძალიან პატივში ჰეავსთ. მოიუვანეს  
ისინი თუ არა, მაშინვე ტანთ გამოყვავლეს, შემოსეს  
სუფთა და კარვის ჰერანგებით და ჩაწვინეს რკინის  
სარეცლებში, რომელნიც მორთულნი არიან რბილისა  
და ფაფუკის ბალიშებით და ლეიბებით. მოსკოვის  
საჯანმრთელთა საზოგადოების საავათმეოფო  
შესდგება სამის ფიცრულისა და ორის კარავისაგან,  
რომლებშიაც ამ ქამად იკურნებიან ახ-ათ კაცადმდის;

— 8 აგვისტოს დამე გოლოვინის პრასპექტზედ  
წაგვიდა ცეცხლი შიოყვის სახლებს და დუქნებს და  
თითქმის სულ გადიწვა. შესანიშნავია, რომ „პაქარნი  
კამანდა“ გვიან მოვიდა და მოსვლის შემდეგაც ისე  
ვერ გაისარჯა, როგორც გაჭირება მოითხოვდა. 9-ს  
აგვისტოს ცეცხლი კიდევ იყო იმოდენად, რომ ზოგან  
ალიც ამოდიოდა.

ოც-და-ათი კაცი სრულებით გამოთვლდნენ, ხუთნი — დაიხრცნენ. ორს სამთავრო საავათმეოფოებში, მე 31 და 34 იკურნებიან ას სამოც კაცამდისინ. ამ უკანასკნელის განსწობილებაზე ვერას მოგახსენებთ, რადგან დიდი ხანი არ არის რაც დაარსებულია და ჯერ არც კი ვუოფილვარ იქა.

ამ თვის 26-სა მათმა უმაღლესობამ კავკასიის მთავარ სარდლის მეუღლემ დიდმა კნეინამა ინახულა აქაური საავათ-მეოფოები. როგორც გავიგეთ მადლი უბძანებიათ ამ საავათმეოფების გამკებელის — შერემეტიევისათვის.

ამ თვის 23-სა მოვიდა სურამში სომხების არნიეზისკოპოსი აივანოვსკი. სურამელებმა დიდი ამბით და ზარების რეკით შეიყვანეს საეღარში, სადაც იმან სურამელებს გადაუხადა მადლი აქაურის სასწავლებელის კარგათ წინ წაუყვანისათვის. „მე დიდის სიამოვნებით წავიკითხე გაზეთში მშაკ თქვენ სასწავლებელზე ქება და იმაზე რო აქ სურამში კეთდება სასწავლებლისათვისა სახელები; დიდათ ვისიამოვნე და ავერ გიხდით საკუთარ ჩემს გულითათ მადლობას და იმედი მაქვს, მომავალშიან უკეთ ეცდებით ამ საგანზე თქვენდა სასარგებლოთ და ჩვენის სომხების წინაპარების გასახარებლათ,“ სთქვა არნიეზისკოპოსმა მცირე ლოცვის შემდეგ.—

მაგრამ ჩვენი ქართველები ამ საგანზე ე. ი. სასწავლებელზე უურებსაც არ იბერტყენ, თუმცა კი რომელ გლეხთანაც იმაზე ბაას დავიწყობთ, გვესმის: „ან, როდის იქმნება ჩვენთვის ის ბედნიერი დღე, რო მაგანზე გვიპატრონოს ვინმემო, მაგრამ სად არის პატრონიო. ...

ს. ბავრელი.

კასპ და გრაკლის ხიდ შუა, დაბლა მტკვრის ზირას, არის ორასი დღიური ურწავიმიწა, რომელიც ეკუთვნის ამილახვრიანთ და რომელსაც აშინაურს ეძახიან. ამ მიწებს სოფ. გრაკალში მცხოვრებლები ხვნიენ სოლმე. ამ მიწებში წრეულ მშენიერი ეახები მდგარა, ისე რომ სიმაღლით, კაცს წელამდინ მოადგებოდა. მთელი ზაფხული შვილივით შესცქეროდნენ უბედური გლეხ-კაცები, რადგანაც ეველა ნაკლულევანების დაფარვას, და გაბდინმულის მუცლიანების დაკმაოფილებას სულ ამ მოსავალიდამ მოელოდნენ. მაგრამ მკათათვის

6-ს ერთი იმათებურივე გლეხ-კაცი ეანებში საჭმელს ხარმამდა, და უეცრათ ნაწერწკალი გადავარდა, და მოედო ცეცხლი იქ დადგმულ სამეულებს, და თუმცა ნამდვილათ არ ვიცი მაგრამ საკმაოთ კი დაეწოთ მომკილები. უბედურები რას მოიოქრებდნენ, რომ მხათ მომკილს, ამ გვარი უბედურება ეწვევათ. თქვენი მტერი იუოს რაც გლეხებს დღე დაემართათ, იმოდენა ამავზე, და ჭინახულზე ცარიელები დარხნიენ. ახლა გამომიება არის დანიშნული თუ როგორ გადაიწო. აბა ეს გლეხი ძალათ ხომ არ დასწვამდა?

ასე მოგახსენებენ ოცი დღისა მომკული ეანა დაიწოვო.



**ჰეგეო პართლიდა.** წრეულ აქეთეკნ ძრეელ კარგი მოსავალია ჰურისა. თითონ გლეხ-კაცები ამბობენ რომ კარგა ხანია ამისთანა მოსავალსა არა ვღირსებივართო. თითო პატარა კალოდამ ექვის შვიდი ტომარა კარგი ჰური ადის, მაგრამ რა გამოვიდა, პატრონს მესამედიც არა რჩება თავის ნაწომ-ნადავისა. იმ სიცხე პანანაქებაში, როდესაც აღამიანი სახლშიანც კი იწვის სიცხით, იმ დროს გლეხ კაცი მთელი დღე წახრილი მკის და ჩამოსდის საცოდავს წურწურით ოფლი; და თუ ერთი ბეწო ნიაგი დაჰბერავს იმ დროს, მაშინ გლეხ-კაცს ასე ჰგონია ესლა დავიბადეო. ერთი კაცმა თქვას რისთვის ან ვისთვის? მათთვის ვინც მხარეთმოხედ არის წამოწოლილი, და როცა მოსავლის დრო მოვა და მზა-მხარეულათ წაიღებს მის მესამედ ნაშრომსა. თითქო გლეხ-კაცსედ ბევრს არა ვინა შრომობს, და რისაგან არის რომ იგი ეველასედ უფრო საწეალია. ეს მკითხველმაც კარგათ იცის რისაგანაც არის. მათ მნებს რო შეხედოს კაცმა, თითქო იტყვის კაცი, რა უჭირთ ამოდენა ჰური მოსვლიათ, რომ ორ წელიწადს კარგათ ეოფათ. მაგრამ ავერ დაუწეეს ჰურს ლეწვა და კალოსაც შემოხვევიან ზოდოსა და მიკირტუმები თავიანთის უშველებელის ჩანახითა, აღარც კი აცლიან საწელებს, რომ მშვიდობიანად გალეწონ.

აბა რაღა გული ექნებათ, როდესაც უეურებენ, რომ ჯერ ნახევარი არც კი გაუღეწიათ, და ცრუ მოვალეები კი სწეწენ ჰურსა. ერთი კაცმა ჰკითხოთ იმ ურჯულეებს, რა შრომა გაუწევათ ამ მოსავალსედ,

რომ ამოდენა ჩანახით იწვევენ ჰურსა და უნახვერებენ ნაწომ-ნადგა. რადანა ხუთი მანეთი მიუციათ გლეხ-კაცისათვის და იმაში ეხლა ხუთი კოდი ჰური მიაქვთ. აი ასე უსამართლოთ მიაქვთ გლეხ-კაცის ცხოვრება. მეტი რა დონე გვაქვს რომ არ მივცეთო, ასე ამბობდნენ საწულები, ჩვენ უოველთვის ფული არა გვაქვს და იძულებული ვართ რომ ნისიათ ავიდოთო. გარდა ამისა მთელი სოფ. ხიდისთავის ვენახები თითქმის გორელებს ეკუთვნის, ზოგი გირაოს წერილით და ზოგი საკუთრებით, და მომეტებული ნაწილი ღვინის მოსავლისა მოგირავნებს მიაქვთ, სამოც თუმნის სარგებელში ორმოცი კოკა ღვინო მიაქვთ, რომელიც კოკა უკანასკნელი რვა მანეთათ ღირს. ერთი ამ გვართავანი ვაჭარი ცხოვრობს გორსა, რომლისაგანაც მთელ ხიდისთავის გლეხ-კაცებს ტყავი აქვთ ამძვრალი. ასე განხიჯეთ თავის ბიძასაც კი არ ინდობს განსუვლეფათ. ამ უღმერთო კაცს უსესნებია თავის ბიძისათვის, რომელიც ხიდისთავის გლეხია, ოცი თუმანი და სამ თუ ოთხ წელიწადში ორმოცი თუმანი გაუხდია. უოველ ექვს თვეს სარგებელი უანგარიშნია და თავნჯედ მისულა, ამაობაში ორმოცი თუმანი შეუდგენია, მეტე იმისთანა უწეალო ღარბი ცოლშვილი დარჩენია თავის სიკვდილის შემდეგ ამ კაცს, და მანინც კიდევ ეხლაც სარგებელს ერთი ორათ ართმევს და ისე აწიოკებს ამოდენა ქულფათს, რომ ამათი ცოდვით ვინ არ შეწუხდება. იმ ურჯულს კი ქვის გული აქვს სწორეთ. აი ამ გვარი კაცების ხელში არიან ჩაცვივნულნი ზოგიერთა ხიდისთაველები. ამ საწულებს ზედ საქონლის თურქულიც დაერთოთ და ზოგმა ლეწვა შეაყენა. საშინელი უწვიმობაც არის აქეთ, ფოთოლს რომ შეხედოთ ასე შემჭენარია, რომ სწორეთ შემოდგომის ფოთოლსა ჰგავს.

ქვემო ქართლელი ქალი.

20-ს ივლისს.



**ჭუთიანი.**—გვალვა, ჭაღების სრულიად ამოწვა მუდმივ სიცხეებისაგან, ვაზის ავთმეოფობა, ზირუტევის თურქულით და ადამიანთა მუცელათი. . . . . აი რას მოესწრო ამ ქაძად იმერეთი, გური და სამეგრელო!....

უველაფერი გვატეობინებს რომ ახლო მომავალში აუცილებლათ მოგველის შიმშილი, მაგრამ ვინ გვაავს მძუფელი? ჩვენში ხომ იოსებნი ვერ გამოჩნდებიან, რომ შარშანდელის უხვის მოსავლისაგან ხალხისთვის საკმაო საკვებავი გადასდვან...სად ქართველები და სად იოსებნი! ჩვენში—ლუარსაბი და დარეჯანი—აი ეს კარგათ მესმის ..

მაზრის უფროსნი, თავიანთ მოხელეებთაგან შემდგარ ამალით და მამასახლისნი სრულიადაც არ სწუხან რომ ხალხი გაჭირვებულია და ფიქრათაც არ მოსდით რომ თურქულს და მუცელას მანინც მოუსზონ გზა; თავად-აზნაურობის და გლეხების კარგა ბლომა ნაწილი ომშია, და ვინც ოჯახობაში დარჩენილან საკვირველის გულ-გრილობით შესცქერიან ძრეელ ცუდს აწმეოს და უფრო გლახას მეოობადსა....

იმდენი სიკეთე მე და შენ მკითხველო, რამდენიც ბათმანი ჰურის ფქვილი, ჭადის ფქვილი, ანუ სიმინდი, ღომი და სხვანი ადამიანის არსებითნი საკვებავი გაიყიდა და იყიდებება, მართალი რომ ვსთქვათ კარგ ფასსაც ვიღებთ (ჩვენის ჭკუით), მაგრამ შიმშილი რომ კარზედ მოგვადგება ფული რას გვიშველის? ჩვენ ხომ იმისთანა ქვეყანაში არა ვართ, სადაც სამას ოთხას ვერსიდგან ორ სამ დღეს მოაქვთ საქონელი.... ქიზიყი მანინც არ გახსოვთ?..

ნათქვამია: გლეხის გაჩენაში ღმერთი არ რევიანო, მაგრამ უფრო მართალია, რომ ქართველის გაჩენაში არ რევიან ღმერთი.....



როგორც ვიცით 30 მოსახლე ქობულეთლები სხვა და სხვა მიზეზების გამო იძულებულნი იყვნენ გარდმოსახლებულიყვნენ ოსურგეთის მაზრაში; მმართველობა ამათ კაცის თავზე აბაზს აძლევს დღეში, მაგრამ მოგეხსენებათ რა სიძვირეა ამ ქაძათ ეოველგან და განსაკუთრებით გურიანში....ახლა წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა: ამ აბაზით ჭამონ თუ სვან, დაიხურონ თუ ჩაიცვან?...სწორეთ საცოდავ მდგომარეობაში არიან უბედურნი: დაფხრეწილის ტანისამოსით, ძალიან ხშირათ მუცელ ცარიელნი, და დაბებრებულის ხელებით, რომელიც ამტკიცებენ რომ მათნი ჰატრონი სრულიადაც არ ეოფილან სხვის ანაბარად, ანუ ტყუილად მჭამენი, ხან და ხან გაიხიერებენ ხოლმე სოფელ სოფელ, და ვისაც

შესვდენ თითქო თვალებით ეუბნებიან: განა შენ ქართული არა ხარ? თუ ჰო, რატომ სამუშაოვს არ მიმოვი?...  
აქ უნდა მოვასწავლოთ რომ ივინი სრულიად მარტო ხელნი ვარდმოსახლდნენ....

რალა გავაგრძელო? ერთი სიტყვით მათი მდგომარეობა ძრეულ შესანოდებელია, და ამიტომაც ძრეულ სამადლო საქმეს იხამს ზატეუცემული „ივერია“, რომ მათ სანარგებლოთ ხელის მოწერას გამართავდეს.



**ივერია.**—ქუთაისის ქვემოთ სოფლებში ძლიერ განხიზრებულია მუცელა, წითელა და ზოგან ეელის ტეივილიცა, სანელაობ, მალლაკში, გუბში, კუხში, ჯიხაიში, ხონში, კულაში და სხვ. ზოგს სამივე ერთად ემართება მუცელა, წითელა და ეელის ტეივილი. დღე ერთია და ორს სამს მკვდარს მარხავენ.

ერთიც სენია განხიზრებული „თათრის ჭირს“ ემხიან ჩვენში. იმითი ავით მეოფი მუცელში ფალარათია და ტანსუდ შავად, ანუ თეთრად დამუწუკებულია შავი მუწუკები ავითმეოფის სიკედილის ნიშანია. ზოგნი ამ სენში შეამხანაგებულს მუცელას და წითელას ხედვენ. ჯერ ამის მეტად არ მომხდარა, რომ ეს ორი „ბატონები“ შეამხანაგებულიყვნენ.

იმერეთში საზოგადოდ ჰურის მოსავალი აგრეთი ჯერ არ ეოფილა; ეურძენი ძლიერ დანაცრა და სიმიდის მოსავალი კი დიდს იმედს იძლევა.



**თელავი**—„ივერიის“ მე-16 ნუმერში იყო მოხსენებული, რომ თელავის ბლალოხინი (სოლომონ ფირანოვი) დაემუქრა მასთან მობასე თავადს (ალექსანდრე ვახვანოვს,) რომ მომრიგებელს მოსამართლესთან გიხიულებო. მართლაც აღასრულა ფირანოვმა თავისი მუქარა; მაგრამ საუბედუროდ თავისივე განამტუნებლად. ამ საქმის განხილვა იყო დანიშნული 18 ივნისს. მომრიგებელის მოსამართლის გარდაწვევტილებიდან სხანს შემდგომი. ფირანოვს თავის განცხადებაში ცამეტი მოწამე ჰყოლია ნახვენები თავის თავის განამართლებლად. შვიდი ამათვანი აჩვენებს, რომ 22 მაისს შემოვიდა ეკკლესიაში ბლალოხინი და დაუწყო ტრანჰეს ქცევა თავისის ჯოხით. ამ დროს შემოვიდა ა. ვახვანოვიც და სოფლელ გლეხების თხოვნით, ჰკითხა ფირანოვს:

რატომ აქამდის ეკკლესიას კანკელი არა აქვს გაკეთებული, როდესაც ამისათვის ფული კარგა ხანია მიღებული გქონიათ? (ბლალოხინს ეს 170 მ. ეკკლესიის ფული ნამდვილად გამოუტანია, ექსარხოვის ნებართვით, ზრიაკაშიდამ კანკელის განაკეთებლად, მაგრამ, როგორც ამბობენ, თავის საჭიროებისათვის დაუნარჯავს). ფირანოვი ამ კითხვანედგაჯავრებულა და შეუფერებელი სიტყვებით უთქვამს ა. ვახვანოვისათვის კარში განსვლა. ეს მაშინვე გამოსულა; არც დამუქრებია ბლალოხინს და არც ნათლობა უსრულებია მღვდელს ამ დროს, თუცა კი ბლალოხინი ქუჩებზედ და თავის განცხადებაში ამასაცა ჩიოდა.

ოთხი მოწამე აჩვენებს, რომ იმათ ნახეს გაჯავრებულ სახესუდ ა. ვახვანოვი და სხვა არა შეუნიშნავთ რა იმისთანა, რასაც ბლალოხინი სწერს თავის განცხადებაში. შესანიშნია ჩვენება დანაშთენის ორის მოწამის მღვდლის დიმიტრი ხარტიტონოვის და მთავრის (ДЬЯКОНЪ) ივანე მაისურაძისა. საქმის გარემოება ამათაც თითქმის ისევე უჩვენებიათ, როგორც სხვა მოწამებს, მაგრამ იმ კითხვაში კი, თუ ჩხუბის დროს ნათლისღება სრულდებოდა ეკკლესიაში თუ არა, მღვდელმა აჩვენა, რომ ფირანოვს და ვახვანოვს ბანასი მოუვიდათ ნათლობის შემდეგ, ხოლო მთავარმა აჩვენა, რომ ჩხუბის დროს ემაწვილს ნათლამდნენო.

მომრიგებელმა მოსამართლემ, რასაკვირველია, გამართლა თავადი ვახვანოვი, რომელსაც ბლალოხინი აბრალებდა შეურაცხყოფას და კეთილ მოწიწების დარღვევას ეკკლესიაში ნათლისღების საიდუმლოს აღსრულების დროს.

ამბობენ, რომ ა. ვახვანოვს საჩივარი შეაქვს არქიერთან ბლალოხინს ფირანოვსუდ და მის მთავარი. მაისურაძესუდ, ზირველიდგან ითხოვს თავის შეურაცხების გარდახდას, ხოლო მეორის დანჯას, როგორც ფიცის გარდამხდომისას.



**რაჭა** 30 ივლისს.—ორჯულ მაინც დავაპირე წერილის გამოგ სავანა, მაგრამ დავბრკოლდებოდი ხოლმე სხვა და სხვა მიხესებით. როგორც ამას წინეთ გწერდით რაჭაში ჰური მოვიდა უხვად. ღვინოც კარგი უნდა მოვიდეს და დაბალი ხარისხის

ეურძნის, რომელსაც უწოდებენ ალემას, იმისი კი რა მოგახსენოთ. უკანასკნელ კვირებში რომ გვალვა გვაქვს, ეს თუ უშუალოდ თორემ იმედი დაგვარგეთ. ნაცარმა დასძლია. გვალვამ მეტად ავნო სიმინდებსაც. რომ წინა წლებშიდაც გლახა მოსავალი არ ხსოვნებოდეთ სიმინდისა, ჰურს ამოდენას არ დასთესდენ და დიდი წარალი მოგვეცემოდა. მაგრამ დაშინებულმა გლეხ-კაცებმა ჰური ბევრად მეტი დასთესეს და არც იზარალეს. 27 ამ ივლისის თვეს იყო მიწის ძვრა დაბა ონს და მახლობლად მისსა. მიწის ძვრა იყო იმდენათ საგრძნობელი, რომ სტოლიდამ ზოგიერთ ოჯახებში, სტაქნები გადმოუარა. ამ საგანზე უფრო ვრცლად მოგწერთ. ესლა მინდა მივაქციო უურადლება ერთს საინტერესო საგანს: უკანასკნელ დროს რაჭის უეზდის ზოგიერთ სოფლებში ისმის ხმა, რომ ეალები ოცდასუთიანი მანეთებს ასალებენო და თუ ზოლიცინამ საჩქაროდ არ მიიღო საიდუმლოთ ზომები, ამით დიდი წარალი მიეცემა უმეცარ გლეხებსაც.

ამბობენ რომ ეს ბილეთები მეტად უხეიროთ არიან ნაკეთებო და ცოტაოდენი აზრი თუ აქვს კაცს, ძალიან ადვილად შეატეობსო. ეს ბილეთები მოაქვთ ქალაქიდა- ე. ი. თბილისიდან განასაღებლად. რამდონი იყო დაწერილი დროებაში და სხვ. ქვემო რაჭაში ხიდის უქონელობაზე, მაშინ, როდესაც ზემო რაჭაში შვიდი ხიდი ითვლება, მაგრამ ვისგანაც ეს დამოკიდებულია ურსაც არ აზარტუხნებენ. რა გვეშველება? ბუგეულის ხიდი, რომელიც გავვიკეთა ნეტარ ხსენებულმა უჩასტკის ნახალნიკმა აბულაძემ, იმდონათ მკვიდრი ნახელაგანი გამოდგა, რომ მესამე წელიწადსავე ჩაინგრა და მას აქეთ ექვსმა წელიწადმა გაიარა არავინ გვეავს კაცი, ჰატრონი მის განახლებაზე იზრუნოს. კურტნები ისევ მაგრები აქვს და ამიტომ შედარებით ბევრიც არ დასჭირდება. ეოველ დღე ისმის ჩივილი გადმართულების და გამოდმართულების. გადაგვანდევით, რამოდენიც გსურთ, ოდონდ გავვიკეთეთ ხიდიო, ნუ გვახნობთო. ამ ექვსის წლის განმავლობაში შვიდი კაცი მეტი დაიხნო. იქნება თქვენ მანინც გვიხვენოთ გზა, რა გზას დავადგეთ, რომ მთავრობის უურადლება მივაქციოთ ამ საგანს. ამ ხიდის საჭიროება შეიქნა საგრძნობელად; უმეტესად მაშინ, როდესაც დაიწყო მოქმედება ხვანჭას ამხანაგობამ, სადაც ბევრი გადმა სოფლების რაჭის,

ბუგეულის, შავრის და სხვა. მცხოვრებნი შემოვიდენ ამხანაგებად და ამისათვის ნავები გააჩინეს. რაოდენათ საშიშარია ამ ნავებით მგზავრობა, ამას ცხადათ ვხედავთ იმ გარემოებიდამ, რომელიც აწერილი „დროებაში.“ რვა თუ ხუთი კაცი აზირებდა დაბრუნებას თავ თავის სახლებში ამხანაგობიდან წასულნი. ნავი გადუბრუნდათ და ჩაცვიოდენ წუაღში. მხოლოდ განგებამ გადაარჩინა დახნობისაგან. ამასვე უნდა მოველოდეთ შემდეგშიდაც. ზოგი შემდეგ.



**ჭუთანისი, აკვისტოს 1.** მეტად გაჭირებული მდგომარეობაა დღეს იმერეთში. განგებამ არ გვაკმარა ომიანობა და ეოველ გვარი მწუხარება რაც იქიდგან წარმოხდგება – ზედ სხვა უბედურებაც დაუმატა. გვალვის შიში მანინც იმერეთში არაოდეს არ ეოფილა, თუ მთაში არ მოვიდოდა მოსავალი გვალვის მიხეხით, ბარში მანინც საკმაოდ მოვიდოდა, რადგან აქ ბარი ვაკე ადგილები ისეც ნამიანია და ზედ ცის ცვარინც რომ დაეცემოდა, – რომელიც ასე უხვად იცის აქ გვალვის დროს მოწმენდილ დამეებში, – წვიმა თითქმის ბევრად საჭირო აღარც კი იყო. მაგრამ ზოგიერთი ძველის კაცების სამდურავის არ იეოს, ცამაც კი აგვარიდა თავის მოწყალე ზირი: ეს ერთი თვეა წვიმა ხომ არ არის და არა; და ცვარი წვეთიც არ ჩამოვარდნილა დამსქდარ, დაღაგულ დედამიწაზედ. რაღაც საკვირველის განგების ძალით დღე ეოველთვის მოწმენდილია და დამე კი ღრუბლიანი; ეოველ დღე როგორც მოსაღამურდება და შავი ზღვიდგან წამოიწვევიან შავშავი ღრუბლები და კიდის კიდამდის ერთიანად მოჰფენენ ცის კამარას; ატუდება ერთი ჭექა-ქუხილი; – მუშა კაცი წვიმის მოიმედე ხელ-აღშერობით ღმერთს მადლობასა ჰწირავს, მაგრამ სულ ტუეილი იმედები გამოდის, – ვერც წვიმის ღირსი შევიქენით და ცვარინც ტუეილა უბრალოდ გვეკარგება. მადლობა ღმერთს კიდევ ჰურის მოსავალი მანინც არ იყო ურიგო, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჰური ისე ბევრიც არ ითესება იმერეთში. ბევრად უფრო მომატებული ითესება სიმინდი, რომელსაც დღეს ასე დიდი განსაცდელი ადგია წინა.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ რაც ინგლისელები ჩვენის ქვეყნიდგან სიმინდის გატანას შეუდგნენ,

იმის თესვაც ძრეულ განშირდა, და იმერლებმა ამ უკანასკნელ ათ-თხუთმეტ წელიწადში ცოტა წელი თუ გაიმაგრეს და რამდენიც არის ღონისძიება მოიპოვეს – ისევე სიძინდის წყალობით, თორემ სხვა ჩვენის ნაქების „სიძიდრეებით“ – ხე-ტყითა, მადნეულობითა, თუ სხვა ამ გვარებითა, ჯერ-ჯერობით არა გამოვიდარა, რადგან ჩვენ მუხობელ ქვეყნებს იმათი გატანა და მოხმარება ჯერ ვერ მოუხერხებიათ და უცხო ქვეყნები კი მეტად დამორბეულად გვეყვანან.

მეორე აქაური სამწესწარმო ამბავი განსვას მეტად გაძლიერებული მუცელა. ეს სხეულება ერთი იმ საშიშარ ჭირთაგანია, რომელსაც აქ ასე მოსწრებილად ეძახიან „ბატონებად“. ბატონები საზოგადოთ ჭირვეული ბრძანდებიან და წრეყანდელი მუცელა ხომ გარდამეტებული რაღაც დარჩა. მთელს ვაკე იმერეთს და სამეგრელოს ისე მოჰსდებია, რომ არა თუ სოფელი, თითქმის ოჯახიც არ არის თურმე, სადაც ამ სხეულებით ვინმე წაქცეული არ იყოს; სიკვდილი ძრეულ განშირებულია; ისმის მუდარების ხმა... შეშინებული არვინ არის; ზარბაზნების ქუხილისაგან ვიღას რა ესმის! სოფლის კაცი უოველთვის მოკლებული იყო უოველ გვარ ნუგეშსა და კაცთმოყვარეობასა, მაგრამ დღეს რომ ის შეწუხებულია – ზომასე მეტია.

მესამე სამწესწარმო ამბავი... მაგრამ ამისთანა ამბავებს თუ მოვუყევი ძალიან შორს წავა. სჯობს საბოლოოდ – *Pour la bonne bouche* ერთი რამ სასიამოვნოდ შეგატკობინოთ. სასიამოვნოდ ეს განსვას: თუძცა ქუთაისში ისეთი გულის გამაწვრილებელი და თავის მომბეზრებელი ცხოვრებაა, რომ ქუთათურებს დიდი ხანია უნდა ჩამოეხრჩოთ თავი, მაგრამ ჯერ ღვთის მოწუალები თქვე არიან მშვიდობით და კარგად!

**ო მ ი ს ა მ ბ ა ვ ი .**

– წასრულს კვირას საომარს ველზედ არავითარი შესანიშნავი ამბავი არა მომხდარა რა, გარდა წვრილმანის შეტაკებისა. პლენის აღება რუსის ჯარის მიერ არ გამართლდა.

რაც შეეხება აზიის საომარს ველსა, აქ იზმაილ ფაშის მხედრობა (40 ბატალიონი ქვევითი ჯარი და 55 ზარბაზანი და მრავალი ცხენოსანი) თავს იყრის მისაენის ხეობაში. 27 მკათათვეს

ჩვენს ჯარს მუხთარ ფაშის მოწინავე ჯარი შეხვედრია, მცირედი სროლა ჰქონიათ, ოსმალო ოცი მოუკლავთ, ჩვენები ორი მკვდარია და ორი დაჭრილი.

1 მარამობისთვის ოსმალოს ჯარი ჩვენს ქობულეთის გუნდს დაჰსცემია, ჩვენებს ოსმალები აჩქუას იქით გაუყრიათ. ამ ომში ჩვენები მოუკლავთ 23 და დაუჭრიათ 38 კაცი.

გაზეთს რუსუ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა:

კიურუკ-დარა, 6 აგვისტოს. ბაშკადიკლიარის ბანაკი ხუთს ვერსტზედ წინ წადგა და დაიჭირა უწინდელი ოსმალოთა ნაბანაკევი. 8 საათზედ დილით ღენერალი დეველი იერიშით მივიდა ინახტეფესის სიმაგრეზედ, საცა ოსმალების მემარჯვენე ჯარია. ოსმალოებმა სწრაფად აშალეს თავისის ცხენოსანის ჯარის ბანაკი და წავიდნენ. შუაგულს მიჰმართა ღენერალ გეიმანმა, აილო სუბატანი და განდევნა ოსმალო ჰაჯივალიდამ და ბულანადამ. მემარცხენე ჯარს ოსმალოსას მიჰმართა ღენერალმა კამაროვმა, განდევნა იგინი იაღნის მთილამ და ვიზინკენამდე სდია და დიდი ზარალი მიაყენა. საღამოს ოთხს საათზედ ჩვენი ჯარი კიულვერენს მოვიდა და მწუხრსა თავის ბანაკში დაბრუნდა. ნაომარს ადგილებზედ ჩვენებმა მოწინავე ჯარის ბანაკი გაიკეთეს.

ჩვენი ზარალი ჯერ ნამდვილად ცნობაში არ არის მოყვანილი; ორმოც-და-ათამდე მკვდარი იქნება და ორას ორმოცამდე დაჭრილი. მზვერავთა სიტყვით, ოსმალოს ათას ხუთას კაცამდე დაჰზარალდება.

– იმავე გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა: კიურუკდარა 8-ს აგვისტოს. დღეს გათენებისას ღენერალ-მაიორი არცუ-ჩერმოევი რამდენიმე დარჩეულის კაცით ცხენოსანის ჯარიდამჭიჩნებია და ნიჟეგოროდის დრაგუნების შემწეობით დაეცა ოსმალოს ჯარის მოწინავე ბანაკს სუბოტანაში, ას კაცამდე მოუკლა, 27 ტყვეთ დაიჭირა, ბანაკის უფროსი რეშითბეი შეიპყრა, 30 ცხენი და მრავალი თოფ-იარაღი წაართვა და მშვიდობით მობრუნდა უკანვე.

საპოლიტიკო მიმოხილვა

ინგლისის ზარღამენტში ერთმა დეპუტატმა ჰკითხა მთავრობას—ჰსუფევს რაიმე ზირ-შეკრულობა რუსეთისა, ავსტრიისა და გერმანიის შორის ოსმალეთის განაწილების თაობაზედ თუ არაო. მინისტრმა უპასუხა, რომ მთავრობამ ამ საგნის შესახებ არ იცის რაო. გულწრფელია ეს პასუხი თუ არა, რა მოგახსენოთ, მაგრამ შემოხსენებული კითხვა კი რომ საფუძვლიანია, ამაზედ კი ეჭვი, ვგონებთ, არ უნდა იყოს. მართლად ავსტრი-ვენგრისის მთავრობა, როგორც უწინაც მოხსენებული იყო, როგორცაღ უცნაურად იქცევა. ერთის მხრით რუსეთის წინააღმდეგ მიტინგის ნება მისცა ვენგრელებს; მეორეს მხრით, როდესაც დეპუტაციამ ამ მიტინგის მიერ მიღებული გარდაწვევტილება წარუდგინა მთავრობას, მთავრობამ არავითარი მტკიცე პასუხი არ მიუგო, თითქო მოერიდა არა წამდღეს რაო. გარდა ამისა სლავიანებისაც ნებას აძლევს მიტინგები გამართონ რუსეთისადმი თანაგრძნობის გამოხატვადებად, მაგალით კროაციაში. მართალია ხორვატებმა უფრო თავისი საკუთარი საქმისადი და ავსტრიის იმპერატორისადმი აღიარეს თანაგრძნობა, ხოლო რაც უნდა იყოს კროაცია კი მარადი მტერია ვენგრისა და აქაურს მიტინგში ბევრი ცხარე სიტყვა იყო თქმული ვენგრელებზედ, და ბევრი თანაგრძნობა იყო აღიარებული რუსეთისადმი აწინდელ ომიანობისგამო. ახლა მოდით და გაიგეთ ავსტრიის პოლიტიკა. გარდა ამისა ავსტრიის მთავრობამ აუკრძალა გალიციის პოლიაკებს მიტინგის გამართვა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ უნდა ეოფილიყო.

გერმანიის შესახებ ისმის რომ მისი მთავრობა თითქმის წინააღმდეგი არ არის, სამხრეთის სლავიანთა სახელმწიფოების დაარსებისა, და თითქო ავსტრიასთვისაც დაუჯერებინოს, რომ ეს გარემოება არც შენ გახსნესო. იქნება მართლა ოსმალეთის ბედი წინათვე იყოს გარდაწვევტილი? ამის მტკიცე პასუხი რასაკვირველია მხელი საქმეა და გაზეთებმა რაც უნდა იუვირონ ვითომ და ვიცით რამეო, მაინც ვიდრე საქმით არა გამოჩნდება რა, მათი დღეს ერთი და ხვალ მეორე ლაპარაკი ფუჭია.

— ამას წინად რუმინის გარეშე საქმეთა მინისტრი კოვალნიჩანო ვენაში იყო იმ განზრახვით, რომ ავსტრია დაეულოებინა რუმინის პოლიტიკის

შესახებ. ავსტრიაში, სახელდობრ ვენგრიაში, რუმინელთა რიცხვი სამ მილიონამდე აღის, თითქმის იმდენია, რამდენიც თვითონ რუმინიაში სცხოვრობს. როდესაც რუმინიამ თავისი დამოუკიდებლობა გამოუცხადა ავსტრი-ვენგრისას ფიქრს მიეცა,—ამ გარემოებამ ჩემი რუმინიელები არ ამიშ ფოთოსო და თავისუფალმა რუმინიამ თავისკენ არ მიიზიდოსო. რუმინია, რასაკვირველია, სცდილობს დაიმეკობროს ავსტრია, და ამ განზრახვით წასულა ვენას კოვალნიჩანო, რომელსაც ამ საგნის შესახებ შემდეგი უთქვამს „СЪверный Вѣстникъ“ კორრესპონდენტისათვის: „ავსტრია დარწმუნებული უნდა იყოს ჩვენ გულწრფელობაზედ და გულმართლობაზედ. ჩვენ რომ არეულობა გვიდოღეს (ავსტრიაში) ტრანსილვანიაში ოციათასს კაცს დავაეუნებდით თოფ-ქვეშ...რადაც მოძრაობაც დაიწეეს მაგრამ ჩვენ შევაეუნეთ. შემდეგშიაც ასე იქნება. თავისუფალი რუმინია მხოლოდ ზნეობით შეეწევა იმ რუმინელთ, რომელნიც ვენგრების ხელში არიან. ესლა ისინი შეწეუნებულნი არიან, მაგრამ ვენგრელები დაინახვენ, რომ მათთვის თავისუფლების მინიჭება აუცილებლად საჭიროა, და იმავე თავისუფალ ცხოვრებას მიანიჭებენ, როგორც რუმინიაშია. გარდა ამისა, რა შიში უნდა გვექნდეს ვენგრისა რუმინებისათვის. მადიარები ვერ შესვამენ რუმინელებს. რუმინელები უფრო შრომის მოყვარენი, უფრო ბარაქიანი და გამამოვოველნი არიან ვიდრე ვენგრები. ვენგრელების მამული სულ რუმინების ხელში ცვივა.“

ცნობის ღირსია აგრეთვე კოვალნიჩანოს აზრი რუსებისა და რუმინების ურთი-ერთობაზედ. კოვალნიჩანომ შემოხსენებულ კორრესპონდენტს უთხრა შემდეგი: „1853 წლის აქეთ თქვენ მხედრობას გასაოცარი ცვლილება დაეტეო. მხელადა სცნობს კაცი ჯარის კაცსა თუ აფიცერს. ჯარი საზოგადოთ, ფხიზელი, მშვიდი და პატიოსანია მაღალი ხარისხის აფიცერთა შორის ორგვარი მიმართულებია. ახალგაზრდებს ძალიან მოეწონათ ჩვენი შინაობა, სადაც ნახეს დიდი თავისუფლება, ნახეს, რომ ეოველი კაცი მამულის შვილია და ფიცხად მისდევს წარმატებას. ამ ახალგაზრდა მიმართულების თქვენი აფიცრები პატიუსა პსცემენ ჩვენ წესიერებას, ჩვენ გაზეთებს კითხულობენ, წიგნებს ეიდულობენ და სცდილობენ ისარგებლონ მით, რაც მოსაწონია.... მაგრამ ამათ გარდა ძველის დროის მიმდევარნიც

არიან. ამათ ჰგონიათ, რომ რუმინია, ისეთი სმა ამოუღებელი მანრია, როგორც იყო 1853 წ. ამათ ჰგონიათ, რომ შეუძლიანთ მხედრულად იბატონონ ჩვენში. მაგრამ ესა დაინახეს, რომ ეოველ მათ ბრძანებას“ წინააღმდეგობა მოსდევს. ტკბილად და მეგობრულად ჩვენ ეველანი მოგუვებით, და ამას და ვამტკიცეთ კიდევ“.

– მაკ-მაგონს მძლავრი მოცილე ჰუავს, საფრანგეთში, ე. ი. ტიერი. მთავრობა ბევრსა ცდილობდა, რომ მისი სახელის სხენებაც არ ეოფილიყო საფრანგეთში, დიდი იმედი ჰქონდა ტიერის სიკუდილისა, მაგრამ ტიერი ცოცხალიც არის და საპოლიტიკო ასწარესხედან გამოდის, და მით თვალსა ჰსწრის აწინდელს მთავრობას. ესა საფრანგეთი ნელ-ნელა არჩევანისათვის ემზადება და თვითვეულს ადგილს თავ-თავისი კანდიდატები გამოჰყავთ. 24 მკათათვეს (ნავისტოს) ტიერი ლილ-ადანს წასულა და ერთს საპოლიტიკო ერილობას დასწრება სადაც ერთს კანდიდატხედ, უფ. სენარხედ ეოფილა ლანარაკი. ხალხი დიდის აღტაცებით მიჰკებებია ტიერს, რომელსაც ერილობაში შემდეგი უთქვამს უფ. სენარის სასარგებლოდ: თქვენ გიჭირთ, იმისთანა წარმომადგენელი, რომელსაც მტკიცედ და ბეჯითად სწამდეს თავისუფალი აზრი და ჰქონდეს ჰემმარტი რწმენა. აი მაგისტანა კაცი ჩემი მეგობარი უფ. სენარიაო. მევარო მისის ეოფა-ცხოვრების მოწამე როგორც ივია ჩემის ეოფა-ცხოვრებისაო. მე მინახავსო იგი 1848 წლის კრებაში, სადაც იქცეოდა როგორც რაინდი და ეველას შეაყვარა თავისი თავიო. მას არასდროს აზრადან არ მოსულია, რომ წესიერება და თავისუფლება ურთიერთის მტერიაო; იგი ერთს მეორისაგან არ არჩევს. თუმცა ჩვენ ზოგჯერ სხვა და სხვა აზრი გვექონიაო მასხედ თუ რა გვარი მმართველობა საფრანგეთის შესაფერიო, მაგრამ ამ ჟამად მე უფ. სენარის თანხმად მგონია, რომ საფრანგეთში მხოლოდ რესპუბლიკა შესაძლებელიო. უფ. სენარი ამ ჟამად იგივეაო, როგორც ადრეუ იყო – ზომიერი რესპუბლიკელიო მე მოვხუცდიო და ესა რესპუბლიკის საქმე თქვენხედ არის მონდობილიო.

დიდი ტამის კვრა და აღტაცება მოჰყვა ტიერის სიტყვას.

უფ. სენარმაც ვადუნადა მაგიერი ტიერსა, რომელსაც დიდი ქება შეასხა. თავისი სიტყვა აწინდელს მთავრობასაც მიჰმართა და ცხარედ

განჰკიცხა მთავრობა. მსმენელთა ტამის კვრა მოჰყვა ამის სიტყვასაც. ბოლოს უფ. სენარმა სთქვა შემდეგი: „ეოველ ამომჩეველს თოფის მაგივრად კენჭი უჭირავს ხელში. აი საიდგან წარმოსდგება ის მშვიდობიანობა, რომლის დარღვევას ამაოდ ცდილობს მთავრობა.“

მთავრობას, რასაკვირველია, ვერაფრად ეჭამნიკება ამ გვარი ტიერისადმი თავუანის ცემა, და მისი მომხრე გაზეთები დღე მუდამ ტიერისათვის საწეენს წერილებს ჰბეჭედენ.

– ჯერ ომიანობა არც კი იყო დაწეობილი, ამბობდნენ, რომ რუსეთს ერთი მომხრე მოემატებაო – სწარსეთი, რომელიც ოსმალის საზღვარხედ ოცდაათი ათასს ჯარის კაცს გამოიყვანსო. ეს იმედი, როგორც მოგესხენებათ არ გამართლდა. აი ამის შესახებ რას იწერება სწარსეთიდან **Indépendance Belge**-ის კორრესპოდენტი: „მართალია სწარსეთი არ არის მეომარი სახელმწიფო და მასთან ზავი არც ერთსა და არც მეორეს მეომარს შესანიშნავ შემწეობას ვერ მისცემს. მაგრამ ეს ზავი მით არის სასარგებლო, რომ სწარსეთი თავის საზღვარხედ ან ერთს სახელმწიფოს (რუსეთს) ან მეორეს (ოსმალეთს) მტერს დაუეენება. რუსის დიპლომატიამ ეოველი ღონისძიება იხმარა, რომ სწარსეთთან ზავი შეეკრა. რუსეთს დიდი იმედი ჰქონდა სწარსეთთან ზავის შეეკრისა და აი რად: თუმცა სწარსელებიც მაჰმადიანნი არიან, მაგრამ ესენი და ოსმალეები სხვა და სხვა მოძღვრებისანი არიან და ამის გამო მათ შორის მტრობა ჰსუფევს; გარდა ამისა სწარსეთისა და ოსმალეთის შორის დიდი ხანია რადაც უთანხმობა საზღვრის შესახებ, რომელიც მტკიცედ არ არის მათ შორის დადგენილი. ამ საზღვარხედ ელის-ხალხი ცხოვრობს რომელიც ხან იქით გადადის ხან აქეთ და ამ სიარულში შფოთსა ჰბადავს ორთა სახელმწიფოთა შორის.“

მაგრამ მეორეს მხრით სწარსეთს ბევრი მიხეზი აქვს, რომ არ ენდოს რუსეთს, რადგანაც რუსეთი აზიისაკენ მიიწევს და ამის გამო ეოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ სწარსეთი არ გამლიერდეს.

გარდა ამისა კიდევ სხვა საფუძველიც არის, რომლის ძალით ვერ მიემხრობა სწარსეთი რუსეთს: რაც უნდა იყოს ოსმალეთი და სწარსეთი ორნივე მაჰმადიანნი არიან და ორთავეს სარწმუნოების დედაბოძი იგივე მაჰმადია. მაჰმადიანთ წინააღმდეგი ზავი (რუსეთთან) თვით სწარსეთის ხალხს ააჯანყებდა და



თვითონ შაჰისათვის დიდ განსაცდელს მოახწავებდა.“

ერთი სიტყვით შემოხსენებული იმედი უქმად გამოდგა და იქნება ამის მიზეზითაც ბაიასეთისაკენ რუსეთის საქმე ისე ცუდათ წავიდა.

– ერთს ავსტრიის გაზეთს სტამბოლიდან სწერენ, რომ სპარსეთის ელჩს შეუტეობინებია ოსმალეთის მთავრობისათვის, რომ ბაღდადის ახლო ჯარი მხოლოდ ვარჯიშობისათვის არის მოგროვილი და სპარსეთის მთავრობა, როგორც ადრევე ისეც ეხლა, მეგობრულის გრძნობით არის აღსავსე ოსმანების შთამომავლობისადმი.

– ამას წინად გერმანიისა და ავსტრიის იმპერატორებს ერთი-ერთმანეთი უნახავთ იმდღი. ავსტრიისა და გერმანიის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ შემთხვევას. აი მაგალითებზე რას ამბობს ერთი ნემენცური გაზეთი, რომელიც ბისმარკის მომხრეა: „გერმანიისა და ავსტრიელების ხალხნი მოწამენი იყვნენ ორთა იმპერატორთა გულისთადის მეგობრობისა, რომელმაც თავი იჩინა მშვენიერს აღზიის ხეობაში. მონარხთა მუსაიფი, რასაკვირველია, ევროპის საზოლიტიკო საქმეებსაც შეეხებოდა. ეს მუსაიფი რასაკვირველია დამტკიცებდა იმ მეგობრობას, რომელიც თან და თან ძლიერდება ორთა მონარხთა და მათთა მთავრობათა შორის, და აგრეთვე საერთოდ სამთა იმპერიის შორის, და რომელიც არის და შემდგომაც დარჩება შუა ევროპის მშვიდობიანობის ნიშნად.“

– ინგლისის ჰარლამენტის სესსია გათავდა, და ამის თაობაზედ წაკითხულ იქმნა დედუფალის სიტყვა, რომელმაც შემდეგია გამოხატული: მე მსურს მტკიცე ნეიტრალიტეტით ეოფნა შემდეგმაც, და როდესაც დრო მოვა ომიანობის შეწვევებისა, ეოველ დონისლიებს ვინმარ, რომ მორიგების ჰირობები შესაფერნი იყვნენ როგორც მებრძოლთა ღირსებისათვის, აგრეთვე ევროპის მშვიდობიანობისათვის. თუ ინგლისის უფლებას მიეცა შიში, მე იმედი მაქვს, რომ ჰარლამენტი შემწევობას მომცემს იმ უფლების დასაცველად.

– ბურჟი სომ მსურვალედ დაუხვდნენ მაკმაგონს, და ეხლა რესპუბლიკის პრეზიდენტი სხვა ადგილებშიც აპირებს მოგ საურობას.

მ ბ ზ ა ვ რ ი ს ჴ ე რ ი ლ ე ბ ი

სვანეთზედ

(შექცეო \*)

სვანეთი არის მთლათ გაცალკეებული კუთხე საქართველოსა, და თითქმის გამორიცხულია სხვა კავკასიის დასახლებულის ადგილებიდან; მისვლა ამ ქვეყანაში შეიძლება მხოლოდ მოკლე საფხულს, მკათათვეში და მარიაპოლისთვეში; და სხვა ათისთვის განმავლობაში, ეს ქვეყანა არის თოვლით დაკეტილი მგზავრისათვის და თვით ქვეყანაც ამ დროს დაფარულია საძინელის ღრმა თოვლით; სამთარში ეს ქვეყანა—მიუკარებელია. სვანები, ჯერ-ჯერობით ჩვენთვის მნელი საცნობი ხალხია; მაგათზედ ჩვენ თითქმის არა ვიცით რა; მათი ენა, მათი ჩამომავლობა, მათი სარწმუნოება და ზნეობა ჩვენ ჯერ არა გვაქვს გაცნობილი. საქართველოს მემატიანენი და აგრეთვე სამძღვარ-გარეთელი მთხრობელნი, რომელთაც კავკასიის ხალხი აუწერიათ, სვანებზედ, ისეთს მცირედს რასმე ამბობენ, რომ ჩვენ მაინც ეჭვიდამ ვერ გამოგვივანეს. მათი ჩამომავლობაც ჯერ აუხსნელი რჩება ჩვენთვის. ზოგიერთნი ამბობენ, რომ სვანები—ქართველების ჩამომავლობისანი არიან; სხვანი კი ამ ჰაზრს არ ეთანხმებიან, და ამ საგანზედ არასფერს არ ამბობენ. ჰირველი ჰაზრისა არის მე XVII საუკუნის მემატიანე-იერუსალიმის ჰატრიარქოსი „დოსიფი“ და „შარდენი“ და მე-XVIII საუკუნის მთხრობელი „ჰოლდენსტედტი;“ და ახალი მწერლები—„კლანპროტი“ და „დიუბუა-დე-მონპერე;“ და უმეტესი ნაწილი ეხლანდელის მეცნიერებისა, ამ ჰაზრისანი არ არიან; მაგრამ, ჰირველი ჰაზრის დარღვევა—მნელია: ჰირველ მსენდულობით, სვანი ცალკე ტომის ხალხათ გვეჩვენება ხოლმე, რომელთაც ქართველებთან არავითარი ერთობა არა აქვს. მაგრამ ამ გვარის კაცის მსენდულობით, მეგრელებიც ასე ეჩვენებიან ხოლმე, თუძცა მეგრელებს ქართველებიდან—ჩამომავლობა, ვერაფრის დონისძიებით ვერ წავრთმევათ. სვანები არიან, ცალკე შტო, მეგრელების ტომისა; უწინდელი მათი სახელი არის „ხონი“, „წანი“, რომელიც გამოდის ქართული სიტყვიდან—„ჭანი.“ ამ სიტყვით ქართველები ეძახიან—„ლახებს.“ ნემენცების მეც-

\*) „ივეზია“ № 19, 23.

ნიერი „ეისვალდი,“ ამბობს, რომ—სვანები და ლაზები ერთი და იგივე ტომისა არიანო. სვანური ენა, თუძცა არც ქართულს ენასა ჰგავს და არც მეგრულსა, მაგრამ თითქმის ეოველი სიტყვა, არის გადასხვაფერილი და გადაკეთებული ქართული და მეგრული სიტყვები. ამ მიზეზით სვანები და მეგრელებიც, მოკლე ხანში, ადვილათ სწავლობენ ქართულს ენას და გამოთქმას. სვანების გარეგანი შეხედულება მიემხვავება საქართველოს მთიულ ხალხს. ცხოვრების წესი სვანებისა, მათი ჩვეულება, საზოგადო წესი, წმინდათ ქართველებისა არის. უმეტესი ნაწილი სვანურ სოფლების სახელები, არის გადასხვაფერებული ქართული სიტყვები; მათი გვაროვნობის სახელებშია—ქართული კილო სხანს. ესლანდელი სახელი „სვანეთი,“ არის ქართული სიტყვა „სვანე“ ანუ „სვანეთი,“ ესე იგი—ადგილი მისამართი, თავის-შესაფერებელი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს სახელი „სვანეთი“ ქართული სიტყვიდამ „შუა,“ „შუანი,“ გამოვიდა; „შუანეთი,“ ესე იგი ქვეყანა—შუა ხალხისა. საქართველოს ისტორია, ერთს ადგილს გვიჩვენებს, რომ თამარ-მეფის მამის დროს, ქართველი მემკვიდრე, საქართველოს შვიდ ნაწილათა ჰყოფინდნენ, იმით რომ შვიდი, ქართველის ხალხით დასახლებული ცალ-ცალკე მარტები ირიცხებოდა. ამ შვიდ მარტაში, სვანეთიც ირიცხებოდა, რომელიც მამის მრთელ საქართველოს სახელმწიფოში—შუაგულში იყო და სახელმწიფოს სამხლვარი მამის, ესლანდელს „ფეოდოსის“ იქით გადადიოდა, ეირიში. მრავალი მართლ-მადიდებელი ეკლესიები და სასტრები, ხატები ქართული წარწერილობითა, რომელიც სვანეთში იყოფება, და მრავალი ქართული წიგნები რომელიც იქ ნახეს, ამტკიცებს, რომ სვანეთისა და საქართველოს ხალხი, ერთი და იგივე ხალხი იყო. მართლაც, რომ რის გულისათვის, ქართველებმა ამდენი ეკლესიების შენობა დასდგეს სვანეთში, ამდენი სიმდიდრე წიგნებისა მიიტანეს იქა, თუ რომ ერთ და იგივე ხალხი არ ეოფილიყო, ერთი და იგივე ჰაზრისა და ერთს მრთელს ხალხს არ წარმოადგენდა?— ზირველად სვანეთის ამბავი გაიგეს სამის საუკუნის წინათ, ქრისტეს შობიდან, ზირველს საქართველოს ხელმწიფის ფარნაოხის დროს სვანეთზედ ამბავი არის მოსწენებული ვიხანტის მემკვიდრეების წერილებში, რომაელთაც რომაელებისა და სპარსელების ბრძოლა აღწერეს, ღაზიკის გულისათვის მე V

და მე VI, საუკუნოებში. ეგენი სვანებს ეძახიან „სოანი“, რომელიც „დიოსკურიის“ მანლობლად სცხოვრებდნენ და კავკასიის მთების ზემო-მხარე ეჭირათ. ეს მემკვიდრეები ამბობენ კიდევ, რომ ეს „სოანი,“ სპარსელებს ემარებოდნენ რომაელების დამარცხებისათვის, და ვითამც ეგენი იუვენ მიზეზი რომაელების და სპარსელების ბრძოლისა, და ეგენი იუვენ მათი მომრიგებელიყო.

სვანეთი მდებარებს მთა „იალბუჯის“ ძირას, მისი აღმოსავლეთის მხარეს, მდინარე „ენგურისა“ და „ცხენი-წელის“ სათავეებში. სვანეთი სამ ნაწილად განიყოფება, ბუნებითის სამხლვრებითა, დიდი მთების სერებით და გაკეცილებულ მდინარეებით. განიყოფება:—სადადიანო სვანეთზედ,“ რომელიც მეგრელიის მთავარს ეკუთვნოდა;—სათავადო სვანეთზედ,“ რომელიც თავად დადმეკელიანებს ეკუთვნოდა;—და „თავისუფალ სვანეთზედ,“ რომელიც არავის არ ეკუთვნოდა, მხოლოდ თავის მბრძანებელათ სვანები თამარ-დედოფალსა ჰსცნობდნენ, რომელიც ჰმეფობდა მე XIII საუკუნის დასაწყისში, და ესლა კი, ცოტ-ცოტათ „თავისუფალი სვანეთი“ ჰსცნობს ადგილობრივ მთავრობის ჰირებს; მაგრამ მაინც ჯერაც მკვლევური კილო თავისუფლებისა ხან და ხან გამოანდებათ ხოლმე. ეს ქვეყანა ეკუთვნის ქუთაისის ღუბერნიას, და ლეჩხუმის უეზდის მარტაში ირიცხება; და რადგანაც სვანეთი ქუთაისიდან მალიან შორს არის, და აგრეთვე ლეჩხუმის უეზდის უზრავლენიდან, ლალიანშიდან, სვანეთი არის ჩარიცხული ცალკე საზრისტავოთ, რომლის ჰრისტავს მნიშვნელობა უეზდის ნახალნიკისა აქვს.

სვანეთის ჰავა-განსხვავებულია; „სათავადო სვანეთი“ მდებარებს სამი ათას ფუტზედ მაღლა შავ ზღვაზედ; და ამისთვის აქა ჰავა ზომიერი, საშუალია; აქა თითქმის ეოველგან დასავლეთის მცენარე კარგათა ჰხეირობს. „თავისუფალ სვანეთში,“ რადგანაც შივნი-მთებში მდებარებს, ჰავა, სასტიკია, ჭოთურია; და ზოგიერთს მომორებულს სოფლებში ჰავა—წმინდა ცივი ჩრდილოეთისაა. აქა უმეტესად ამოდის—ფიჭვი და არეი; მხოლოდ მარტო ქერი მოდის ამ ქვეყანაში; ზამთარი იწუბა ენკენისთვეში. ჩემს საუბედროთ, მე თან ბარომეტრი არა მქონდა, რომ სიმალლის გამოანგარიშება მემძლებოდა, მაგრამ გაბედვით ვიტყვი, და მემდღარი არ ვიქნები, რომ „თავისუფალი სვანეთი“

მდებარებს, არა-ნაკლებ, შვიდი ათას ფუტზედ მალლა შავ ზღვაზედ. ეოველს მხარეს, საცა თვალი გადასწვდებოდა, ესე იგი „თავისუფალ სვანეთის“ ღორიზონტი, დაფარული არის სავითანის მთებითა და კლდეებითა, მუდამის თოვლით სავსე. ერთი სიტყვით მთელი „თავისუფალი სვანეთი“ წარმოადგენს დიდს და უშველებელს ქვაბს, რომელსაც მირში ორი ვიწრო ხვრელი აქვს, რომლითაც მიმდინარობენ მდინარეები „ენგური“, შავი ზღვისაკენ, და „ცხენის-წყალი“, რიონისაკენ. სვანეთის მდინარეების ხასიათი სრულიად არა ჰგავს სხვა კავკასიის მთის მდინარეების ხასიათს; უმეტეს ნაწილს ამ მდინარეებისას, სათავეები შიგ თოვლის ძირებში აქვს, და ისეთი ცივი წყლებია, რომ მე რეომურის ტერმომეტრით შევიტეე, რომ შუათანა სითბო ამ წყლებსა აქვს 6 1/2 გრადუსი. ეს წყლები წარმოადგენენ ძალიან ვიწრო, ორ საყენიდან ხუთამდის, ვიწრო გასავალს და დიდს სიღრმეს. თითქმის ეოველგან ამ მდინარეების წყლის ზირები მალდებთან 50-100 საყენზედ; და ნაპირები კლდის ჯავარბანი ქვისა არიან და ასპიტისა და მძაფრი შეხედულება აქვსთ. ამ მდინარეებზე საშინელი რამ და მრისხანე არა იქნება რა; მათი კალაპოტი ძალიან შევიწროებულია; მათი მიმდინარობა-ჩქარია; წყალს ასდის დიდი ქაფი და ოხშივარი; დუღს წყალი და მთების და კლდეების გულსა დიდის ძალითა ხვრეტს, წამ და უწუმ ამ შრომაში შეხერდებიან ხოლმე, და ისევ უცებ განიერში, საშინელის ხმით გავარდებიან! მათ ხმას მთანიც და კლდეიც-ხმას ამღევენ-ასე რომ დააერუებენ კაცსა. ამ მიზეზით სვანეთის წყლებს ფონი არსად არა აქვს. ახლო-მანლომთებზედ, ეოველნარის მცენარის სიცოცხლე არა აჩნევია რა. აქა, არც ვარეული მფრინველია და არც არა-რა ნადირი. ძალიან იშვიათად, რიჭრაქზედ, მთის წვეროებზედ გამოჩნდება ჯიხვის ჯოგი, ცივ წყაროსთან მიმავალი და მფრთხილი მათი მონადირე, მაგათთან მიმხარავი, და სხვა არაფერი სიცოცხლე არა სჩანს რა. მდინარეებისა და სხვა წყლების გადაიდების დროს ჩვეულებრივი გზა მიუკარებელია სვანებისათვის და მთის წვეროებზედ დაქედზედ დაიდებენ ხოლმე ამ დროს ბილიკებს. თავის სოფლებისაკენ სხვა მეზობელს ხალხთან შეერთება სვანებისა თითქმის ერთი და იგივეა; განსხვავება არა აქვს რა მეზობლებთან: ქაბარდოელებთან,

იმერლებთან, ლეჩხუმლებთან, რაჭველებთან და სხვა მთის ხალხთან. იმერეთისაკენ მიდის რამდენიმე ბილიკა-გზა, მთის გარდასავლებზე, მთა „ლექნულისა“ და მთა „ლაილასზედ“; „ლატფარის“ მთაზედ ჩამოდის ოთხი ბილიკა, „სადადიანო სვანეთისაკენ“, „სოფლებში: „ლენტეხს“, „ჭოლურს“, „ლიდქას“ \*) და „ლაშხეთს“; და აქედგან მიდის მხოლოდ ერთი საზოგადო გზა, სოფელს „მერსზედ“ ცხენის-წყლის ხეობაში, სოფელს „ორბელზედ“ — ლაილაძისაკენ, მდინარე ლაჯანურას ხეობით. ეს მთის გარდასავლები სულ ათი-ათას ფუტზედ მალდებთან. ამ მთის გარდასავლების გარეგანი შეხედულება და წარმოდგენილი სურათები, ზევით მოვიხსენიეთ კიდევ. მხოლოდ გამბედავი სვანი სამთარში გაჰბედავს ამ გზით გარდმოსვლას და ამისთვის უსათუოთ „თხელამურები“ უნდა გაიკეთოს ფეხებზე და გრძელი კავიანი შუბები ეჭიროს, რომელსაც სვანები სამთარში, მინდვრებშიაც არ იმორებენ. მაგრამ ამისთანა გაფრთხილებით, მაინც მოწმენდილს დღესა ჰბედავს გზაში წასვლას; მაგრამ სამთარში კი მოწმენდილი დღეები ხომ, იშვიათია.

შიგნით სვანეთში, ჩვენ ბევრი სხვა და სხვა ნაირი ხიდები და ბოგირები გავიარეთ, საშინელს გავიკებულს მდინარეებზედ და წყლებზედ გადა-გდებული. ეს ნამდვილი ეშმაკის ხიდები, არიან გაკეთებული ორის ლასტისა და ფინხით დაწინილი; მოაჯირი სრულები თ არა აქვს, და ისე იდრიკებიან მგზავრს ქვეშ, რომ ქანაობას დაიწეებენ ხოლმე. ფინხის ნაწინავებს შუა სჩანს, ქვეშა-მღელავი მდინარე. ჩვენ თითო-თითოთ გადავდიოდით, და აბა ვის არ შეათროლედა ამ გვარი ხიდი!? ამ ხიდებზე ცხენებიც, სათითავოთ გაჰყავთ, ისე რომ ერთ სვანს ცხენი ალვირით წინ მიჰყავს და მეორეს კი ცხენის კუდი უჭირავს ხოლმე და ისე გაიყვანენ ხოლმე მეორე ნაპირასა. სოფლებსა და სოფლებს შუა, უკმაყოფილების გამოისობით, ამ ხიდებს მოშლიან ხოლმე და მთით მოსწობენ ეოველს ღონისძიებას ერთ ნაპირიდან — მეორეზედ გადასვლისათვის.

\*) სვანურის ენის გამოთქმაში არის ხმა, რომელიც რუსულის ანბანში გამოიხატება ასოთი „Б“, თა: ასე რომ „ლდეკა“ კი არა, უნდა „ლБდეკა“; „ადიშა“ კი არა, უნდა „აБიშა“; ბევრი სიტყვაა ამ ხმოთა, რომელიც ქართულთ ვერ დაიწერება; სვანურითაჲ არ იწერება ამიტომ რომ, სვანებს თავისი წერილი ახა აქვსთ.

სვანები, თუ მიუკარებელს ადგილებში თავისათვის ბილიკებსა სდებენ,—სხვა გვარი და უკეთესი გზა აქა, არა აქვთ. სვანეთის გზების სიმრედე, ადვილად ვერ გამოიხატება; ჯერ გზა აღის ცხრა, ანუ ათი-ათას ფუტზედ მალა მთებზედ, მერმედ უცებ დაეშვება ხოლმე ზირ-და-ზირ წყლებთან და მდინარეებთან, ან ვიწრო ხეობებში ჩადის, ხან შივ სოფლის შენობებს შუა მიდის სვანების კარმიდამოებში, ისე რომ მგზავრს ადვილათ შეუძლიან გზიდან სვანის სახლში ბუნხარდამ, ჩაიხედოს; ხან მიდის გზა და რომელიმე ალაყაფის-კარებს მიაღვება; მაშინ კარგა ხანი უნდა, რომ ალაყაფი-კარების ზატრონი დაიყოლიოს მგზავრმა და გააღებინოს, რომ გასვლა შეძლოს. ეს გზები ცხადათა სხანან ტეიანს ადგილებში, საცა გზის ორივე გვერდზედ ტეე ცოტათი გახეილია და ზოგან მოაჯირებიც აქვს, რომ მგზავრი სადმე ხრამში არ გადაიხეოს; სხვა ადგილებში კი ეს გზები ან სრულიად არა სხანან, ან არა და საფეხურებს წარმოადგენენ, კიბესავით. ძალიან შეჩვევა უნდა მგზავრსა ამისთანა გზებთან, რომ ამ მრავალს და არეულს მთებში კვალი არ დაეკარგოს, და იქითკენ დაიჭიროს თავისი მგზავრობა საითკენაც უნდა წასვლა. ამისთანა გზებზე მხოლოდ ჯორი ვარგობს, თავისი ფრთხილის სიარულის მიზეზით და არა ცხენი; ამიტომაც სვანეთში ჯორი ცხენზედ ერთი ორად ფასობს. მგზავრი აქა, ეოველს წამს მოელის თავისითავის გადახეხას, ვიწრო ბილიკებზედ მიმავალი, რომელნიც საშინელს სიძაღლიდან მდინარეებს და ხრამებს და ღელეებს გადაჰურებენ.

მდინარე „ენგურის“ და „ცხენის-წელი“ ხეობებმა ჩემს გონებას ჩაჰნერგეს დაუვიწვარი გრძნობა; მრავალი და ძალიანი, ერთად არეული ტეიანი მთები, ჩვენ გარს იუვნენ შემორტეპული; სივიწროებისაგან—სუნთქვა გვემნელებოდა; ჩვენ ვიყავით, ვითამც, რაიმე ღრმა ორმოში ჩავარდნილი, საიდანაც სხანდა ვიწრო ზოლი წმინდა ცისფერი-სეცისა. ჰაერი მუდამის სიბნელისაგან; მზე აქა-იქ გადმოჰხედამს ხოლმე და ისიც მოკლე ხანსა. მეტის-მეტად საგრძნობელი იყო—იქაური ბნელი ღამე; ხეობაში არის საშინელი თვალის-სათხრელი სიბნედე; მხოლოდ ნათელი ვარსკვლავების ზოლი სხანს მგზავრისათვის. ბნელი და შავი მთების გამოხატულობა იკარგება მრთელს ღამის სიბნედეში; ამას უნდა დაუმატოთ მთის ნისლი

და ქუხილი ტეეებისა და გაგეგებულის წყლებისა. ენგურისა და ცხენის-წელისა, რომელთაც ისეთი ქუხილი ახდის, რომ დაღალული მგზავრი — მოსვენებას ვერა ჰპოულობს, განაღებულს ცეცხლთან მიწოლილი, რომელსაც ხშირად მოსდის ის გრძნობა, რომ ადამიანის ძალა და ღონე სულ ფუჭია ამისთანა ბნელ ბუნებასთან! ეს ხეობები ერთ და იმავე ღროს შეიცავენ რაღაცა სინაზეს, სიტკბოს, სიალერსეს მგზავრისათვისა, და ამ ღროსვე მოკმუნხვილობას, საშიშარს რაღაც გრძნობას! აქა, ზატარა, წვრილი, უღონო-შეუერთდა-სიმძლავრეს, სიდიდეს და წახინანს! ესეთია ბუნება ამ ხეობებში!

სვანეთის მთებს აქვს სხვა და სხვა შეხედულობა; ზოგიერთი სერები ზირ-და-ზირ მუდამის თოვლის ზოლში შედიან, და არიან ბუნებით მრავალის წყლების სათავეებთან. ეველასე მალა, თავი ამოჰყო „ბეჩოს“ მთა, რომელიც სვანეთის ეოველის კუთხიდანა სხანს; და თითქმის ეოველს მთას, ჩამოსდის წყლები, რომელნიც ან ენგურს, ან ცხენი-წელს ერთვიან; საშინელის ხმითა, ქუხილითა, ასე რომ ორმა მოლაზარაკე კაცმა უნდა იევირონ, რომ ერთმანეთს სიტყვა გააგებინონ.

ზაფხული სვანეთში მხოლოდ ორ თვე-ნახევარს არის; და სვანებს კი თურმე ცოდვით მიანინანთ მუშაობა არა თუ კვირა დღესა, არამედ ზარასკევესა და შაფათსაც. ამ გვარივე ჩვეულება იმერლებსაც აქვს, მაგრამ იმერეთში მუდამ—ზაფხულია და სვანეთში კი მუდამ — ზამთარი. ამ გვარივე ჩვეულება ქართველებშიაც არის, საცა ზარასკეობით მიწას არ მუშაობენ; მაგრამ სვანეთში რომ შაფათსაც არ მუშაობენ, რა მიზეზია, ჩვენ ვერა ვინ ვერ აგვიხსნა. მგონია რომ, სვანებმა ეს ჩვეულება ურიებისაგან გადაიღეს, რომელნიც იქ თურმე ბევრნი ეოფილან, და ცალკე სოფლებში არიან დასახლებული, მაგალითად „ლენტეხი“, „მულახი“ და „ხალდე“ სულ ზოგი გაქრისტიანებულ ურიებით არის დასახლებული და ზოგი ნამდვილ ურიებითა. სვანებს ამ სოფლების ხალხთან კავშირი არა აქვს თ რა, და მაგათშუა ეოველთვის უკმაყოფილება და უსიამოვნება ჰმეფობს.

(შემდეგი ოქნება)

კოტე სანინელი.

ბრძოლა რომის დასაპყრობლად

(შექცეო) \*)

ი ტ ა ლ ი ა

ამალასვინტას გულზედ მოეშვა და თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ ისევ მალე გაიტაცა რაღაც მოუსვენარმა გრძობამ შიშისამ; საზარელი ფიქრები მოესივა; მას წარმოუდგა თვალწინ ის ცოდვანი და დანაშაულობანი, რომელნიც მოეხდინა იმ ცოტა ხანში რაც დედუფლად იყო; ნამეტნავად მან მოჰგვარა ჟრჟოლა, რომ მოაგონდა ვით მოაკვლევინა სამი გოთთა ჰერცოგი ბალტის გვარეულობისა, რომელნიც ამალასვინტის გვარეულობის მტერნი იყვნენ.

ამალასვინტას ეჩვენებოდა ხოლმე, რომ ვითომ უკანმდევარი მოსდევს; ვითომც ცხენების თქაფათქუფიც ესმის, ვითომც ვიღაცა კაცებსაცა ხედავს, რომელნიც კვალზედ მოსდევენ, მაგრამ დელიოსი არწმუნებდა, არაფერი ამბავი არ არისო.

ლამემ ამ ყოფით გაიარა. ირიჟრაჟა თუ არა, მივიდნენ ტბის პირას, ტბაზედ ჯერ კიდევ ღამის ნისლი იღო. მარჯვნივ მებადურის დაბალი ქოხი იყო. დელიოსი ქოხში შევიდა. რამდენსამე წუთს შემდეგ უკუვ მოიქცა, ამალასვინტა ეტლიდამ გადმოიყვანა და წაიყვანა ტბის პირას, საცა პატარა მებადურის ნავი იყო დაბმული.

ნავში იჯდა ერთი ბერი-კაცი; ისე უძრავად გაეშტერა თვალეები, თითქო ღრმა ფიქრებშია ჩავარდნილათ.

— დელიოს, შეჰსძახა ამალასვინტამ: ჯერ კიდევ ბნელა და ეს ბერი-კაცი ამ ნისლში როგორ გაიგებს გზას?

— სინათლე ვერას უშველის ამას, დედუფალთ, მიუგო დელიოსმა: ეგ კაცი ბრმა არის.

— ბრმაო? ჰსთქვა შეშინებით ამალასვინტამ: უკან მოაბრუნე ნავი, ნავილამ გამოვალთ.

— ეს ოცი წელიწადია სულ ამ გზაზედ დავდივარ, მიუგო ბერი-კაცმა: მე ეს გზა თვალხილულზედ უფრო კარგად ვიცი.

— დაბადებით ხარ ეგრე ბრმად?

— არა, თეოდორისმა, ამელუნგების გვარეულობისამ უბძანა ჩემი თვალების დათხრა. აი წყევლა და ქოქვა ამელუნგებს!

თრთოლით და კანკალით იყურებოდა აქეთ-იქით ამალასვინტა. მას ასე ეჩვენა, რომ თითქო ხარონს მიჰყავდეს იგი აჩრდილთა სამეფოში. ნავი კი თავისთვის ჩქარა მიდიოდა. აი ერთხელაც მოუსვა ბერმა-კაცმა ნიჩაბი და ნავი დანიშნულს ადგილს მივიდა და შედგა.

ამალასვინტა დელიოსის მკლავზედ ებჯინა და ისე ავიდა კლდეში გამოკვეთილ კიბეზედა. ეს კიბე კასიადორის აგარაკში ასასვლელი კიბე იყო. ასეთი ნისლი იყო, რომ ნისლის გამოაგარაკის გარეშემო ხეებსაც კი კაცი ვერ არჩევდა.

ბოლოს მიადგნენ მაღალს ჭიის კარებს ბრონზისას. დელიოსმა ხლმის ტარით დაარაკუნა კარი, კარმა ჭრიალი დაიწყო და კარებში მოადგა ერთი ვიღაც კაცი საშიშარ თვალეიანი და ჭლარა თმააბურძგნული.

ამალასვინტას მოაგონდა, რომ იყო დრო როცა თვისის ქრმით შემოადგა ფეხი ჭიის კარებში, წინ მოეგება ალერსიანად ახალ-გაზდა მეკარე და მისი ცოლი ლოცვითა და კურთხევითა.

— ფუშინა სად არის? იკითხა მან: აქ არის კიდევ?

— იგი დიდი ხანია ტბაში დაიხრჩო, უბასუხა გულ გრილად მეკარემ და წაუძღვა წინ სასახლისაკენ. სასახლე დაცარიელებული იყო, თითქო აქა მცხოვრებნი სულ ამოწყვეტილანო.

— მაშ ალარავინ არ ჰსცხოვრობს? ჰკითხა ამალასვინტამ მეკარეს:— მე მოახლე მინდა.

— ჩემი ცოლი გემსახურება.

— სხვა არის ვინმე კიდევ სახლში?

— დიად, არის ერთი ყმა-კაცი, მკურნალი ბერძენი.

\*) იკუჭაა №№ 19, 21 22 და 23.

— მკურნალი, მე მინდა იმისთვის...

ამ დროს ჭიის კარიდამ ძლიერი რაკუნის მოსიმა და ამ ხმამ ყრუდ მოიბრინა მთელი სასახლე.

— ეს რას ნიშნავს? იკითხა შეშინებულმა ამაღასვინტამ.

— უსათუოდ შემოსვლა უნდა ვისმეს, მიუგო მეკარემ და მიხურა კარები ამაღასვინტისათვის მომზადებულის ოთახისა.

ნესტიანი ჰაერი დიდის ხნით გაუღებელის სადგურისა ეცა ამაღასვინტას პირის სახეზედ. მან მღელვარებით შეამცნია, რომ ეს ოთახი ის ოთახია, რომელშიაც იგი ჰსცხოვრებდა ამ ოცის წლის წინად. მან დაითხოვა თვისნი მხლებელნი, დაეცა სარეცელზედ და მალე მოუვიდა ძილი, მაგრამ საზარო სიზმრებმა მოსვენება არ მიჰსცეს. ჩვენება ერთი მეორესა ჰსცვლიდა. ხან მოეჩვენებოდა მისი ქმარი ევტარის თავისის დაჭრილის ტუჩითა. ხან მისი შვილი, კუბოში მწოლარე, ხან ქალი, რომელიც საყვედურით სავსეს თვალთ იყურებოდა, ხან თვალ წინ წარმოუდგებობნენ სამნი ჰერცოგნი გაფითრებულის სახითა და სისხლში მოსვრილის ტანისამოსითა და ხან უსინათლო მენავე ჭადარა-თმითა.

ამაღასვინტა გულ გადაფითრებული წამო-ხტა. ფარდას უკან რად აც დაიძრა, კედელზედ ჩრდილმა გაიარა. ამაღასვინტამ მიმოიხედა, არა ვინ იყო; მივარდა, ხელი დააჭირა რაღაც ბალთასა, ჩაქუჩმა დაჰკრა და ოთახში შემოვიდა მოსამსახურე. ეს იყო მკურნალი. ამაღასვინტამ თვისი შიში უამბო მკურნალმა აუხსნა, რომ მგზავრობას დაუღალავხართ და იმისაგან არისო; ურჩია თბილის აბანოს მიღება და გავიდა, რომ ამისთვის საჭირო გამკარგულება მოახდინოს.

იმის გასვლის უმაღ შემოვიდა გოგო და თან შემოიტანა თეთრეული და ყოველივე იარაღი აბანოსი. ამასვინტა გაჰყვა გოგოსა. ორივე ხმა ამოუღებლივ მიდიოდნენ. როცა მივიდნენ

მაღალ ბურჯთა სან, ცა აბანო იყო, გოგომ გააღო კარი მარმარილოს კედლისა. შევიდნენ შიგ და დახვდათ დახურული მოაჯირი აუზების გარეშემო. აუზებიდამ ამოდოდა თბილი და სურნელიანი ორთქლი.

რვა კუთხიანი აბანოს ოთახი ორ სარ-თულად იყო გაყოფილი რკინის ფიცრითა, რომელიც ქვემო სართულისათვის ჭერი იყო და ზემოსათვის ძირი. ქვემო სართული დანიშნული იყო ცივის წყლის აბანოსათვის და ამის გამო ტბის წყალი მიღებით შემოდოდა. როცა უნდოდათ ჭახრაკს მოსწევდნენ და ის რკინის ჭერი ორად გადიშლებოდა და ეს აბანოს ოთახი შეიქმნებოდა ერთ ოთახად, რომელსაც მთელის ბურჯის სიმაღლე ჰქონდა და რომელიც შესაძლო იყო ტბის წყლით ძირიდან თავამდე ავსებულყო. ჩვეულებრივ კი ზემო სართულში თბილს აბანოს მართავდნენ ხოლმე, ამისათვის კედლებზედ მრავალი მილები იყო გაყვანილი. შუაში აუზი იყო, რომელშიაც მოაჯირიდამ მარმარილოს კიბე ჩადოდა, მეტად მოსახ-დენად გაკეთებული,

სინათლე ჭერიდამ ჩამოდოდა. შემოსავლის კარის პირდაპირ, მაღლა ბაქანზე კიბე აღიოდა ჭანდრის ხისაგან გაკეთებული. ამ ბაქანიდამ შესაძლო იყო კაცი წყალში ჩამხტარიყო.

გოგომ ხმა ამოუღებლივ აბანოს იარაღი დააწყო ლბილს ბალიშებზედ და ხალიჩებზედ, რომლითაც მოფენილი იყო მუაჯირის იატაკი და დააპირა გარედ გასვლა.

— შენ როგორღაც მეცნობი, — ნეტა სად მინახვიხარ? ჰკითხა ამაღასვინტამ გოგოს: დიდი ხანია რაც შენ აქა ხარ?

— ერთი კვირაა, უბასუხა და კარის რაზას ხელი მოჰკიდა.

— დიდი ხანია რაც კასსიოდორს ემსახურები? ჰკითხა ხელახლად ამაღასვინტამ.

— მე დედუფალს გოდელინდას ვემსახურები. ერთი საშინელის კივილის ხმა მოსიმა

ამალასვინტისაგან; მივარდა იგი გოგოს. კალთაში ხელი წასტაცა, მაგრამ ვერ დაიმაგრა. გოგო გაექცა და მოაჯახა კარები. ამალასვინტამ გაიგო, რომ კარები კლიტით გადაუკეტეს.

ახანოდამ გასასვლელი სხვა კარი აღარ იყო.

(შექვეთი აქნება)

**გაზეთებიდან ამოკრეფილი ამბავი.**

ქ. ბოროვიჩიდან (ნოვგოროდის გუბერნი.) გაზეთს Недѣля-ს სწერენ: „22 მკათათვეს დილის ათ საათზედ ჩვენი ქალაქი უეცრად აღელვდა. მაზრის გამგებელი (Исправникъ), კვარტალები და სხვა ზოლიციისა, სამხედროსი და საერო მოხელენი, აგრეთვე ხალხიც მიემუშრებოდა რკინის გზის სადგურისაკენ. ეტობოდა ვიღასაც მოელოდნენ. ეს „ვიღაცანი“ ივენენ კავკასიიდან გამოყვანილნი ჩერქეზები. მოახლოვდნენ თუ არა მოგზაურნი ხალხში ხმაურობა ატედა. „ეს ვინ არის?“ „ნუ თუ დედა-კაცია?“ — „დახე ბავშვებიც არიან.“ ამათ რაღა დააძავეს?“—არა ღმერთო! დახე რა ნაირი საუერებია!„—სწორეთ ცხენის ნალია....“.—,თვალებს დახე, თვალებს“.—,იმას უეურე, რა ღონე აქვს, ბევრს ჩვენებს მოერევა! და სხვ. მთიულთა ველურმა, მამაცმა, თავისუფალმა შეხედულობამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს მაუერებლებზედ. „აი ხალხი!“ ძალა უნებურად ამბობდნენ ბევრნი. ჯერ-ჯერობით თითქო ეშინოდათ და ერიდებოდნენ მოსულებსა, მაგრამ თან და თან თვალი მიახვიეს და გაცრებით შესცქეროდნენ უნახავ სურათს. ვაგონებიდან გამოვიდნენ სალდათები და ჩერქეზებს ანიშნებდნენ. მამაკაცებს რომ დედა-კაცები მოჰყვნენ, აქლემებისავით დატვირთულნი, თავზედ თეთრის ხელსახოცებით, ფეხებზედ განიერის შალვრებითა და კაცურის ქულაჯითა, მაუერებელთ გაცრებას სახლვარი აღარა ჰქონდა. რა ღონე უნდა ჰქონდეთ ამ დედა-კაცებს რომ ამოდენა ტვირთს უძლებენო. მხრებზედ უშველებელი ტომრები (ბავშვებისათვის),

სელში მუქუ-მწოვარნი ემაწვილები—ეველა ეს უშველებელს ღონეს მოითხოვს. მომსვლელთა შორის ივენენ მოხუცნი და ახალგაზრდანიც. ბავშვთა სიმრავლე ეველას აკვირვებდა. მომსვლელთა რიცხვი ორასამდეა. სტანციიდან სტუმრები და ზატრონები კახარმებისკენ წავიდნენ. ბევრნი ისე მძიმედ ივენენ დატვირთულნი, რომ მუხლთ ეკეცებოდათ. ზოგი კიდევ იქცეოდა ტვირთის ქვეშ. განა არ შეიძლებოდა ცხენები მიეცათ ბარგისათვის და ავათმეოფებისათვის?„

ამას წინად გაზეთის Голосъ-ის კორრესპონდენტი იწერებოდა, რომ ნოვგოროდში მოყვანილნი მთიულეები თერგისა და დაღესტნის მაზრის მცხოვრებნი არიანო, რომელნიც ბოლოს დროს აჯანყდნენო.

გაზეთი Сѣверный Вѣстникъ ამ საგნის შესახებ ამბობს: „ჩვენ ჯერ არ ვიცით მთიულეები მართლა ჩრდილოეთის გუბერნიებში იქნებიან გაეზავნილნი თუ არა. ამ გვარი ამბების დაჯერება გვეძნელება. ჩრდილოეთისაკენ გარდასახლება, სადაც სამიწელი ცივი ჰავაა, სადაურ ჰავასა ბევრი რუსიც ვერ იტანს, დიდ ტანჯვას უქადის კავკასიის მცხოვრებს, რომელიც სიცხეს არის მიჩვეული. თუ საჭიროება მოითხოვს აჯანყებულთ გარდასახლებას, რუსეთი ისე ვრცელია, რომ შეიძლება უფრო უკეთესი ადგილი შეურჩიონ და ამისთანა სასტიკს ტანჯვას საწულები გადაარჩინონ. განა უფრო არ სჯობს საპოლიტიკო საჭიროებაც დაკმაყოფილდეს და იმავე დროს თავიღვან აცილებული იყოს ამ გვარი კიცხვა და ძრახვა, როგორც მოგვაყარეს ჩვენ ეოველის მხრით ჩერქეზებთა გარდასახლების დროს ათის თორმეტის წლის წინად.

— კორრესპონდენტი რუსულის გაზეთისა „Голосъ“ იწერება, რომ უფროსი შვილი შამილისა კაზიმაჰმადი ათასის ცხენოსანის ჩერქეზითა მუნთარ-ფაშის ბანაკში მომხრედ მივიდაო. იმავე ბანაკში ამბობენ, არისო ორი ლეგიონი, რომელთაც „ვენგრელთ“ ლეგიონებს ეძახიან, მაგრამ ამ ლეგიონებში ბევრი ინგლისელი და ზოლაკია თურმე. ესენი არამც თუ შველიან მუნთარ-ფაშას მხედრობის

განწყობაში, არამედ ჰსცდილობენ ჩვენს ჯარში არეულობა და ურიგობა ჩამოაგდონ. ამისათვის ეგენი ჩუმიად კაცებსა და წერილებსა უგზავნიან თურმე ჩვენს ჯარს. როცა ხშირი სროლა დაუწყეს ჩვენებმა ეარსსა, მაშინ თურმე ჩვენს ჯარში მათი წერილები დადიოდა. ამ წერილებში ივინი იწვევდნენ რუსეთის მხედრობას, მიემხრონ ოსმალოებს, და წინა აღუდგენ რუსის მთავრობასა.

გ ა ნ ც ნ ა დ ე ბ ა

ექვთიმე ხელაძის სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა **სამართლის წიგნი ქართულ ენაზედ, სამსჯავრო წესდებანი 20 ნომბრის 1864 წლისა**, მოთავე განმარტებით, განაჩენებით კავკასიის დეპარტამენტთა მმართველობით სენატისა, თარგმნილი **ნიკოლოზ სიმონის-ძის გამრეკელოვის-მიერ.**

ა ნ გ ა რ ი შ ი

საბუე-ენისლის გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობისა.

პირველს იანვარს 1877 წელსა იყო:

შემოსავალი:	მნუი.	კან.	გ ა ს ა ვ ა ლ ი :	მნუი.	კან.
წილის ფული . . . . .	1245	80	გასესხებული . . . . .	2205	„
ნასესხი შემდეგ აღებული . . . . .	1000	„	და შთენილი:		
წმინდა მოგება . . . . .	120	95	ა.) საწვევო ფული ტფილ. საურთიე-	100	„
			რთო ნდობის საწოგადობაში . . . . .	61	75
			ბ.) ნაღდ ფულად . . . . .		
ს უ ლ . . . . .	2366	75	ს უ ლ . . . . .	2366	75

პირველს იანვრიდამ 1877 წელსა პირველს მკათათვემდინ არის:

შემოსავალი:	მნუი.	კან.	გ ა ს ა ვ ა ლ ი :	მნუი.	კან.
წილის ფული . . . . .	392	54	წილის ფული . . . . .	207	„
სარგებელი დაჭერილი სესხობის დროს			მოგება წილზე 1876 წ. . . . .	79	56
ანუ ახალი ვადის მიცემის დროს . . . . .	258	28	გასესხებული . . . . .	3502	50
დაბრუნებული ნასესხი . . . . .	2142	84	ნასესხი შემდეგ აღებული . . . . .	1000	„
ჯარშია . . . . .	6	„	სამართველოს ხარჯი . . . . .	27	35
სასარგებლოდ შემოტანილი ფული . . . . .	2321	83	ვექსილის ქაღალდებში . . . . .	3	„
სათადარიგო თანხა . . . . .	21	65	აღებ მიცემისა . . . . .	19	74
ვექსილის ქაღალდისა . . . . .	1	50	ნაღდ ფულად არის: . . . . .	305	49
ს უ ლ . . . . .	5144	64	ს უ ლ . . . . .	5144	64

22 ივლისს, ჩეოზ წ.  
სოფ. ენისელი.

მმართველნი: { ივანე როსტომოვი.  
მარკ სტეფანოვი.  
ნიკო კონჭოშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Августа 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდვის ავტორი,  
რედაქტორ-გამომცემელი **ნუგზარ ჭიბერაშვილი**  
სარედაქციო %ბუფი: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, ლალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი**  
**პროექტი: ივანია – ნარსიჯი ლაბინაძე – მომავლის მანსარინაძე**  
პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა  
**გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს**  
**მომომავალი უნს „სამომომავლო სახლი ქართული ელითა“** საიდენტიფიკაციო №404852174  
მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; [chiaberashvili@gmail.com](mailto:chiaberashvili@gmail.com)